ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – გ. ფ., წარმომადგენელი - ნ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.10.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 146/18

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი უ. ქ. /სიითი №----/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ უ. ქ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 15 ოქტომბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. ფ.-მა და მოითხოვა ადვოკატ უ. ქ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორი 2018 წლის 25 სექტემბერს მოწმედ იკითხებოდა სამოქალაქო დავაზე - საქმე 2/XXXXX-16 (3X) (ფ/პ ნ. ვ. - სს კ.-ს წინააღმდეგ) როგორც საქმეში ჩართული მესამე პირის - სს კ.-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ხოლო აღნიშნულ საქმეში მოსარჩელის წარმომადგენელი იყო ადვოკატი უ. ქ., რომელმაც გ. ფ.-ს სასამართლო სხდომაზე დაუსვა მისი ფინანსური შემოსავლების შესახებ კითხვა, რაც მისთვის ცნობილი გახდა სხვა საქმიდან, რადგან ადვოკატი უ. ქ. პარალელურად არის მოსარჩელე მხარის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ დავაზე - საქმე X6 (ვ. ს., მ. მ. და სხვები სსიპ ს. ე. ბ.-ის წინააღმდეგ), სადაც მესამე პირად ჩაბმულია სს ს. ს. ბ., რომლის გენერალური

დირექტორი არის გ. ფ.. გ. ფ.-მა წარმოადგინა 2018 წლის 25 სექტემბერს გამართული სასამართლო სხდომის კომპაქტ დისკზე ჩაწერილი აუდიო ჩანაწერის გაშიფრული ტექსტი, რითაც ადასტურებს, რომ ადვოკატმა უ. ქ.-მ სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას მართლაც დაუსვა კითხვა მისი წლიური შემოსავლის შესახებ, რაც გ. ფ.-ს აქვს, როგორც ს. ბ.-ს გენერალურ დირექტორს და აღნიშნული კონფიდენციალური ინფორმაცია ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მეორე საქმის (X6) სარჩელიდან.

1.3 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატ უ. ქ.-ს წარმოებაში არსებული აღნიშნული სამართლებრივი დავები ერთმანეთთან კავშირში არ არის. ადვოკატის მიზანს წარმოადგენდა მისი შემოსავლების შესახებ კითხვის დასმით მოსამართლე შეცდომაში შეეყვანა თითქოს გ. ფ. ცდილობს სს კ. მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩააგდოს, გააკოტროს. მსგავსი ქცევით ადვოკატმა უ. ქ.-მ ისარგებლა რა ადვოკატის პრივილეგიით, იმით, რომ მას წვდომა ჰქონდა გამოყენებულ ინფორმაციაზე და სხვა სადავო საქმეზე არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია გამოიყენა სხვა სასამართლო დავაში. აგრეთვე, გ. ფ. მიუთითებს იმასაც, რომ იგი სს კ.-დან არ იღებს არანაირ შემოსავალს, შესაბამისად მის ფინანსურ მდგომარეობაზე კითხვის დასმა ადვოკატის მიერ იყო გაუმართლებელი.

1.4 2018 წლის 31 ოქტომბრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გ. ფ.-მა დამატებით განმარტა, რომ მოცემულ ორ დავას საერთო არაფერი ჰქონია, გარდა იმისა, რომ ორივე დავაში მხარის წარმომადგენელი იყო ადვოკატი უ. ქ., არც დავის საგანი, დავის ტიპი, მოსარჩელე ან მოპასუხე და არც მოსამართლე ყოფილა იგივე. საჩივრის ავტორი არ ეთანხმება ადვოკატის პოზიციას იმის შესახებ, რომ მისი როგორც სს ს. ს. ბ.-ს დირექტორის ხელფასის შესახებ კითხვის დასმა ემსახურებოდა ადვოკატის კლიენტის ინტერესებს (იმ დავაში, სადაც შეკითხვა დაუსვეს ანუ ფ/პ ნ. ვ.-ის ინტერესებს) და წარმოადგენდა დავის წარმოების სტრატეგიის ერთ-ერთ ნაწილს. ამ ინფორმაციის გაჟღერებას საჩივრის ავტორი ვერ უკავშირებს ნ. ვ.-ის ინსტერესს, რადგან ფ/პ ნ. ვ.-ის ინტერესი იყო ამ დავაში სს კ.-ში მისი შრომითი ურთიერთობის აღდგენა და მას ვერ დაეხმარებოდა სხვა ორგანიზაციაში დირექტორის მიერ მიღებული წლიური შემოსავლის გაჟღერება. სასამართლო სხდომაზე არც მოსარჩელე - ნ. ვ.-სთვის, არც სს კ.-ს სხვა თანამშრომლებისთვის გ. ფ.-ის ფინანსური შემოსავლების შესახებ ინფორმაცია ცნობილი არ ყოფილა, ადვოკატის ქმედებამ კი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დაცული ინფორმაციის გასაჯაროება გამოიწვია და არაუფლებამოსილი პირებისთვისაც გახადა იგი ხელმისაწვდომი. გარდა ამისა გ. ფ. არ წარმოადგენს საჯარო მოხელეს, ამიტომაც მისი შემოსავლების შესახებ ინფორმაცია მკაცრად კონფიდენციალურია. ადვოკატ უ. ქ.-სთვის ამ ინფორმაციის მიღების ერთადერთი წყარო მხოლოდ სხვა სასამართლო საქმის მასალები იყო. 2018 წლის 31 ოქტომბრის სხდომაზე გ. ფ.-მა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატის ქმედებით მისი, როგორც პროცესის მონაწილის უფლებები დაირღვა და ზიანი მიადგა მას.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, სახეზეა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული კონფიდენციალურობის პრინციპის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონისა და ,,ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის გ ქვეპუნქტის დარღვევა, რადგან ადვოკატმა გ. ფ.-ის თანხმობის გარეშე განზრახ გამოიყენა სხვა საქმიდან მიღებული ინფორმაცია ისე, რომ მისი გამოყენების ლეგიტიმური მიზანია არ ჰქონდა.

2. **ადვოკატის პოზიცია:**

2.1 2018 წლის 22 ოქტომბერს ადვოკატმა უ. ქ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება, რომლის თანახმადაც, გ. ფ.-ის მიერ წარმოდგენილი საჩივარი დაუსაბუთებელია და მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას. ადვოკატის მტკიცებით, არც გ. ფ. და არც მასთან დაკავშირებული კომპანიები მისი ან მისი საადვოკატო ბიუროს კლიენტები არასდროს ყოფილან. ადვოკატის შეფასებით, მის წარმოებაში არსებული დავები: საქმე 2/XXXXX-16 და საქმე X6, ერთმანეთთან არის დაკავშირებული. აღნიშნულ დავებში მოწინააღმდეგე მხარის იურიდიული პირების წარმომადგენელი არის გიორგი ფარესიშვილი.

2.2 ადვოკატი ადასტურებს, რომ მან 2018 წლის 25 სექტემბერს სასამართლო სხდომაზე მოწმე გ. ფ.-ს ნამდვილად დაუსვა კითხვა მისი წლიური ხელფასის შესახებ და დაასახელა ოდენობა. მისი განმარტებით, კითხვის დასმის მიზანი მისი კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვა იყო და დავის სტრატეგიის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენდა. ადვოკატმა 2018 წლის 16 ნოემბრის ეთიკის კომისიის სხდომაზე დამატებით განაცხადა, რომ კითხვის დასმა განაპირობა გ. ფ.-ის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებულმა ინფორმაციამ თითქოს კომპანიები, სადაც იგი ხელმძღვანელ პოზიციებს იკავებს ფინანსურად სოლიდურ კომპანიებს არ წარმოადგენენ, რაც მან, როგორც ადვოკატმა აღიქვა ცუდ გზავნილად, რომლითაც მხარე ცდილობდა მოსამართლეზე გავლენის მოხდენას, მაშინ როდესაც დავის საგანი განაცდურის ანაზღაურებასაც უკავშირდებოდა. ადვოკატის მიერ კითხვის აღნიშნული ფორმულირებით დასმა ემსახურებოდა მოწმის მიერ გაჟღერებული ინფორმაციის გაბათილებას, ამასთან იმ გარემოების გამოკვეთას, რომ მმართველ პირებს ცუდი დამოკიდებულება ჰქონდათ მის კლიენტთან მიმართებით, რადგან მოსარჩელე მხარეს მიაჩნდა, რომ მისი გათავისუფლება დაკავშირებული იყო მისი ძმის საქმესთან. შეკითხვის არსებული სახით ფორმულირებისას მისი მიზანი იყო სასამართლოს გაეგო რომ კომპანია იყო შეძლებული. ადვოკატის შეფასებით, ადვოკატი მოქმედებს იმ განწყობით, რომ მისი მოქმედებები დადებით შედეგს მოუტანს კლიენტს და ამ მხრივ შეკითხვა დავის შინაარსს უკავშირდებოდა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, გ. ფ. არასწორად განმარტავს ფაქტებს. კერძოდ, გ. ფ.-ის დაკითხვა მოხდა 2018 წლის 25 სექტემბერს და სხვა მოწმეები იმ სხდომაზე არ იყვნენ, როგორც საჩივრის ავტორი უთითებს.

2.4 ადვოკატის შეფასებით, მისი მხრიდან კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რადგან საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული პროფესიული ეთიკის კონკრეტული დებულებები ეხება ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობებს და არა მოწინააღმდეგე მხარეს, რომლისთვისაც არც თავად ადვოკატს და არც მის საადვოკატო ბიუროს იურიდიული მომსახურება არ გაუწევია.

2.5 ადვოკატის პოზიციით, მხარე ასევე უთითებს, რომ მან დაარღვია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი და გამოიყენა იგი პირის თანხმობის გარეშე, თუმცა ამ საკითხის შეფასებისთვის არსებობს სპეციალური ორგანო და ეთიკის კომისია არ არის უფლებამოსილი ამ საკითხზე იმსჯელოს.

2.6 ადვოკატს მიაჩნია, რომ პროფესიული ეთიკის პრინციპები არ დაარღვია. ნდობის, დამოუკიდებლობის, კონფიდენციალურობის, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპები ერთობლიობაში განიხილება კლიენტთან მიმართებაში. პროცესი საჯარო იყო და ინფორმაციის გაუთქმელობაზე ვალდებულება არ აუღია. ადვოკატი, რომელიც ფლობს კლიენტის ინტერესის სასარგებლო ინფორმაციას ვალდებულია იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. მისი მხრიდან კლიენტისთვის სასარგებლო ინფორმაციის გამოუყენებლობა და დამალვა იქნებოდა ნდობის პრინციპის დარღვევა, ხოლო ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვა ადვოკატს ეკისრება კლიენტთან მიმართებაში.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი უ. ქ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №----/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი.

3.2 გ. ფ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 15 ოქტომბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წლის 25 სექტემბერს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ უ. ქ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ უ. ქ.-ს მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა უ. ქ.-მ ადმინისტრაციულ დავაში მონაწილეობისას მიღებული პერსონალური ინფორმაცია, კერძოდ გ. ფ.-ის, როგორც სს ს. ს. ბ.-ს გენერალური დირექტორის წლიური შემოსავლის ოდენობა გამოიყენა სამოქალაქო დავაში გ. ფ.-ის დაკითხვის დროს, სადაც საჩივრის ავტორი ჩართული იყო მესამე პირის - სს კ.-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის სტატუსით. ადვოკატი უ. ქ. ორივე დავაში წარმოადგენდა პროცესუალური მოწინააღმდეგის ინტერესებს.

5.2 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა ადვოკატ უ. ქ.-ს პროფესიული ქცევა შემდეგი მუხლის ფარგლებში:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან

იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით.“

5.3 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა დაიცვას კლიენტის ინტერესები საუკეთესოდ, რისთვისაც ადვოკატი, როგორც შესაბამისი განათლებისა და პროფესიული უნარების მქონე პირი მოქმედებს კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით. ამ პროცესში ადვოკატს აქვს პროფესიული ეთიკის კოდექსითა და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მთელი რიგი ეთიკური ვალდებულებები კლიენტთან მიმართებაში, საქმისმწარმოებელ ორგანოსთან, კოლეგასთან და პროცესის მონაწილეებთან, თუმცა ადვოკატი ორიენტირებულია კლიენტზე და მისი ქცევა მიზნად ისახავს კლიენტის ინტერესების დაცვას.

5.4 კონფიდენციალურობის პრინციპი, როგორც ადვოკატის პროფესიის ძირითადი ფასეულობა, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ქვაკუთხედია, რაც ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებებს წარმოშობს კლიენტთან მიმართებაში. კლიენტის საუკეთესო ინტერესებისთვის ადვოკატს ევალება დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, ინფორმაცია, რომელიც მის ხელთ სწორედ ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობის ფარგლებში აღმოჩნდა. ადვოკატს ევალება გაამართლოს კლიენტის ნდობა, რაც უპირველესად უშუალოდ კლიენტისაგან ან კლიენტის საქმეზე ნებისმიერი სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციისადმი პროფესიულ მიდგომას მოითხოვს, რაც გულისხმობს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად მის ინფორმირებას, კონკრეტული ინფორმაციის (მ.შ მტკიცებულების) გამოყენებისთვის კლიენტისგან თანხმობას. პროფესიული მიდგომა ავალდებულებს ადვოკატს კლიენტის იურიდიულ დახმარებას გადაწყვეტილების მიღებაში, კლიენტისათვის სასურველი ინტერესის დასაცავად.

5.5 გ. ფ. წარმოადგენს სს კ.-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრს და სს ს. ს. ბ.-ს გენერალურ დირექტორს. იგი მესამე პირად იყო ჩართული სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში, სადაც უ. ქ. წარმოადგენდა მოსარჩელე მხარეთა ინტერესებს. გ. ფ. ითხოვს შეფასდეს ადვოკატ უ. ქ.-ს ქცევა, რომელმაც ადმინისტრაციული საქმიდან (საქმე X6), გ. ფ.-ის წლიური შემოსავლის შესახებ მიღებული ინფორმაცია გამოიყენა სხვა სამოქალაქო საქმეში (3X, ფ/პ ნ. ვ. - სს კ.-ს წინააღმდეგ) მოსარჩელე მხარის წარმომადგენლობისას, გ. ფ.-ის, როგორც სს კ.-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მოწმის სახით დაკითხვის დროს, რამაც შელახა გ. ფ.-ის უფლებები. ადვოკატ უ. ქ.-ს შეფასებით იგი მოქმედებდა კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, დასმული შეკითხვა წარმოადგენდა მისი სტრატეგიის ნაწილს და მას მოწინააღმდეგე მხარის მიმართ არ აქვს ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულება. ამასთან, ადვოკატის შეფასებით მის მიერ ადმინისტრაციულ საქმეში მიღებული ინფორმაციის სამოქალაქო საქმეში გამოყენებას ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი - კლიენტის ინტერესზე შესაძლო დადებითი შედეგი.

5.6 კოლეგიის პოზიციით, ადვოკატი უ. ქ. 2018 წლის 25 სექტემბერს საქმეში ნესამე პირად ჩართული გ. ფ.-ის, როგორც სს კ.-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დაკითხვის დროს მოქმედებდა კლიენტის ნ. ვ.-ის ინტერესის შესაბამისად, ადვოკატის პროფესიული როლის ფარგლებში და ამ პროცესში ადვოკატის ჩართულობის შედეგად სხვა ადმინისტრაციული საქმიდან მიღებული ინფორმაციის მოცემულ სამოქალაქო საქმეში გამოყენებით ადვოკატს არ დაურღვევია ინფორმაციის

კონფიდენციალურად შენახვის ვალდებულება, ვინაიდან აღნიშნული პროფესიული ვალდებულების დაცვის სუბიექტი - კლიენტია. შესაბამისად, კომისია მიიჩნევს, რომ კლიენტის წარმომადგენლობის პროცესში მოწინააღმდეგე მხარის შესახებ სხვა საქმიდან მიღებული ინფორმაციის გამოყენებით ადვოკატმა უ. ქ.-მ იმოქმედა ადვოკატის პროფესიული ქცევის წესების დაცვით.

5.7 ეთიკის კომისია ასევე განმარტავს, რომ კომისიის კომპეტენცია ვრცელდება ადვოკატის პროფესიული ქცევის შეფასებაზე ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ფარგლებში და მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს და დაადგინოს ადვოკატის მიერ სხვა ნორმატიული აქტების შესაძლო დარღვევა.

5.8 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე და 33–ე მუხლებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №146/18 ადვოკატ უ. ქ.-ს მიმართ /სიითი №----/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/